

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ეი თი იუ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წ.

(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია ფირმის მენეჯმენტის მიერ

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობას და სიზუსტეს. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ემრე ბირდალი

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი საქართველოში

1 ოქტომბერი 2020 წელი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობას და სიზუსტეს. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.



ემრე ბირდალი

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი საქართველოში

1 ოქტომბერი 2020 წელი

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“-ს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 1 ოქტომბერს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2020 წლის 1 ოქტომბერი

სარჩევი

ა. საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	2
ა.1. საზოგადოების განვითარების გეგმა.....	2
კომპანია დარეგისტრირდა 2006 წლის დეკემბერში, დამუშნებელი კომპანია და 100% წილის მფლობელია თურქეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული ATU Turizm Isletmeciligi A.S. რომელიც თავის მხრივ ფლობს უბაჟო ვაჭრობის პუნქტებს 7 ქვეყანაში.....	
ა.2 ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	4
ა.3 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	5
ა.4 საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	5
ბ. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7

ა. საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს ეი თი იუ ჯორჯიას შრომითი ხელშეკრულებით 2019 წლის საშუალო რაოდენობით დასაქმებული ყავდა 121 თანამშრომელი, აქედან 2 თურქეთის მოქალაქე, თანამშრომლები დაზღვეულია ჯანმრთელობის დაზღვევით, კომპანიას აქვს კვარტალური და წამახალისებელი ბონუს სისტემა და თანამშრომლებისთვის მუდმივად ტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგები.

კომპანია სარგებლობს ბოდეგრადირებადი შესაფუთი მასალით 2018 წლიდან და საზოგადოებრივი აქტივობის ფარგლებში პეროპდულად ეწევა გარემოს დასუფთავების აქტივობებს.

ა.1. საზოგადოების განვითარების გეგმა

კომპანია დარეგისტრირდა 2006 წლის დეკემბერში, დამუშნებელი კომპანია და 100% წილის მფლობელია თურქეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული ATU Turizm Isletmeciligi A.S. რომელიც თავის მხრივ ფლობს უბაჟო ვაჭრობის პუნქტებს 7 ქვეყანაში.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს:

ა. სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე რეალიზაციისათვის განკუთვნილი უცხოური და ადგილობრივი საქონლის სავაჭრო დარბაზებში ან/და საერთაშორისო რეისის განმახორციელებელ საჰაერო ხომალდში (შემდგომში – საჰაერო ხომალდი) რეალიზაცია იმ მგზავრებზე, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას; ე.წ. უბაჟო ვაჭრობა - DUTY FREE.

ბ. უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობის ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიის წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის მიწოდება.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის N471 დადგენილება „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

კომპანია საქონელს საცალოდ ყიდის მხოლოდ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში. საერთაშორისო აეროპორტებში კომპანია არის ასეთი საქმიანობის განმახორციელებელი ერთადერთი პირი. შესაბამისად, საქართველოს აეროპორტებში უბაჟო ვაჭრობაში კომპანიას ეკუთვნის 100% წილი.

გარდა აღნიშნულისა კომპანია ახდენს დიპლომატებისათვის საქონლის საცალო მიწოდებას ბათუმში.

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- იმპორტული ალკოჰოლური სასმელები;
- ქართული ღვინოები და სპირტიანი სასმელები;
- პარფიუმერია;
- თამბაქოს ნაწარმი;
- ტკბილეული;
- სუვენირები.

როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიის საქმიანობის არეალი შეზღუდულია მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებით. პერსპექტივაში ასეთი აეროპორტების ქსელის გაფართოება შეზღუდულია და ამ მხრივ ვერც კომპანიის სავაჭრო ქსელი ვერ გაფართოვდება. ქსელის გაფართოების ერთადერთი საშუალება დიპლომატიათვის ახალი ობიექტების გახსნაა, მაგრამ ამ მიმართულებით გაფართოება შეზღუდული კონტიგენტის გამო ნაკლებ პერსპექტიულია.

მეორეს მხრივ, გასაყიდი საქონლის ასორტიმენტიც შეზღუდული და სპეციფიკურია. მისი გაფართოება ასევე ნაკლებ პერსპექტიულია.

მესამე მხრივ, გასაყიდი საქონლის ფასები. ფასები მეტ-ნაკლებად თანაბარია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიურ ობიექტებში და მათი მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვევს მყიდველთა მოთხოვნის შემცირებას.

ერთადერთი პერსპექტივა საქმიანობის გაფართოებისა არის მგზავრთა ნაკადის ზრდა. ზრდა შესაძლებელია გამოწვეულ იქნეს, როგორც საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების სატრანზიტო ფუნქციის გაფართოებით, ასევე ტურისტული პოტენციალის ზრდით.

პირველი ფაქტორის პერსპექტიულობაზე რაიმე კვლევის შესახებ ჩვენთვის უცნობია. იმის გამო რომ ასეთი აეროპორტების განვითარებული ქსელი გააჩნია ჩვენს მეზობელ თურქეთს, ამ ფაქტორის გავლენა მიგვაჩნია ნაკლებ პერსპექტიულად. ჩვენი გათვლებით ყოველწლიურად იგი შეიძლება გაიზარდოს 5-10%-ით წინა წელთან შედარებით.

მეორე ფაქტორის გავლენა მგზავრთა ნაკადის ზრდაზე მიგვაჩნია გაცილებით პერსპექტიულად.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ერთობლივად, შესაბამისი კვლევების საფუძველზე, მიღებულია დოკუმენტი „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ (ლინკი <https://gnta.ge/ge/>).

დოკუმენტის მიხედვით, მგზავრთა ნაკადი 2015 წლის 5.901 მილიონიდან 2025 წლისათვის უნდა გაიზარდოს 11.0 მილიონამდე, ანუ ყოველწლიურად საშუალოდ 10% (509.9 ათასი კაცი). ამავე კვლევის მიხედვით ტურისტების მიერ დახარჯული თანხები უნდა გაიზარდოს 4-ჯერ.

შესაბამისად მიგვაჩნია, რომ კომპანიის შემოსავლები სტაბილურად ყოველწლიურად არანაკლებ 15-20% გაიზრდება.

ზემოთხსენებული ზრდა ვალიდური იყო 2020 წლის მარტამდე, COVID-19 გავრცელებასთან ერთად და სახელმწიფოს მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიების შედეგად, 2020 წლის მარტში შეწყდა რეგულარული საერთაშორისო ფრენები, დაიკეტა აეროპორტები, ზემოთხსენებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია გაყიდვების 80% იანი ვარდნა (2019 წლის 8 თვის მონაცემებთან შედარებით), ხოლო მგზავრების რაოდენობა შემცირდა 78,6%-ით. 2020 წლის ივლისიდან აღდგა ჩარტერული რეისები და მოგვეცა უფლება გაგვეხსნა მაღაზიები, ბათუმის დიპლომატიურმა მაღაზიამ მუშაობა განაახლა 2020 წლის მაისში. ნოემბერში დაგეგმილია რეგულარული საერთაშორისო ფრენების აღდგენა.

ა.2 ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს სამ საერთაშორისო აეროპორტში და ქალაქ ბათუმში (დიპლომატების მაღაზია).

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებს 5 ფილიალი.

ობიექტებს არ გააჩნიათ რაიმე ფორმის დამოუკიდებლობა. აღრიცხვიანობა ხდება ცენტრალიზებულად. ფილიალების მიხედვით შემოსავლები ასე ნაწილდება:

ცხრილი #1: შემოსავლის გადანაწილება ფილიალების მიხედვით (ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში)

ფილიალის დასახელება	2018	2019	
	შემოსავალი	შემოსავალი	ზრდა გასულ წელთან შედარებით (%)
თბილისი	47,914,923	47,752,832	0%
Tbilisi Main shop	31,635,486	33,436,903	6%
Tbilisi Vintage shop	16,210,063	14,205,700	-12%
Tbilisi Toys shop	3,016	0	-100%
Tbilisi Sunglasses shop	0	0	0%
Tbilisi Bus Gate shop	38,730.48	54,507	41%
ბათუმი	7,615,357	8,116,528	7%
აეროპორტი	7,511,275	8,028,636	7%
მაღაზია	104,083	87,892	-16%
დიპლომატებისათვის			
ქუთაისი	3,966,574	5,413,700	36%
სულ ჯამი	59,469,227	61,227,339	3%

ა.3 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

ა.4 საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ბოლო სამი წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი #2: ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (წარმოდგენილია ლარში)

	31-12-18	31-12-19	% წინა წელთან შედარებით
მიმდინარე აქტივები	12,189,846	15,968,554	31.0%
გრძელვადიანი აქტივები	2,680,668	1,847,939	-31.1%
სულ აქტივები	14,870,514	17,816,493	19.8%
მიმდინარე ვალდებულებები	5,443,613	4,487,687	-17.56
გრძელვადიანი ვალდებულებები	57,046	75,013	31.50%
მოგება/ ზარალი	7,616,346	11,856,505	55.7%
სულ კაპიტალი	9,369,855	13,253,792	41.45%
შემოსავალი რელიზაციიდან	59,469,227	61,227,3390	2.96%
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-22,619,129	-20,930,423	-7.5%

როგორც ცხრილიდან ჩანს საანგარიშგებო პერიოდის რეალიზაცია წინა წელთან შედარებით გაზრდილია 3.0%-ით. აღნიშნულის მიზეზია, 2019 წელს მგზავრთა ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა წინა წლებთან შედარებით. ამასთან მნიშვნელოვანი ზრდაა დაფიქსირებული სამივე საერთაშორისო აეროპორტში არსებულ ფილიალებში.

ამ დადებითმა მომენტმა თავისი ასახვა პოვა ფინანსურ შედეგზე და იგი გაიზარდა შესაბამისი პროპორციით.

გაუმჯობესებულია მაჩვენებლები ყველა სხვა ძირითადი მუხლების მიხედვითაც, რამაც ასევე მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ყველა ძირითადი ანალიტიკური მაჩვენებელი. კერძოდ:

ა) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (Current ratio). იგი ასახავს კომპანიის უნარს, მიმდინარე აქტივებით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ეს მაჩვენებელი შეადგენს 2019 წლის ბოლოსათვის 3.50. იგივე მაჩვენებელი წინა წლის ბოლოსათვის შეადგენდა 2.57 ანუ 2019 წელს მაჩვენებელი არ გაზრდილია (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 2.0)

ბ) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი (Quick ratio). ეს მაჩვენებელი პასუხობს კითხვას, გაყიდვების შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიას შეუძლია თუ არა თავისი მიმდინარე ვალდებულებები დაფაროს იოლად კონვერტირებადი აქტივებით. ეს მაჩვენებელი შეადგენს 2019 წლის ბოლოსათვის 2.65. იგივე მაჩვენებელი წინა წლის ბოლოსათვის შეადგენდა 2.24. ანუ 2019 წელს მაჩვენებელი გაზრდილია. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 1.0)

გ) აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი (Absolute liquidity ratio) ეს მაჩვენებელი ასახავს კომპანიის უნარს დაფაროს მომწოდებელთა მიმართ ვალდებულებები. 2018 წლის ბოლოს იგი შეადგენდა 0.32, ხოლო 2019 წლის ბოლოსათვის 1.42 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.2).

დ) უკუგება აქტივებზე (Return on assets. ROA) მიუთითებს ფინანსურ უკუგებაზე გამოყენებული აქტივებიდან. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0,73 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.)

ე) კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (Return on equity ROE) იგი ასახავს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება კომპანიაში დაბანდებული სახსრები. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.89 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.)

ვ) უკუგება გაყიდვებზე -რენტაბელობა ((Return on sales ROS) იგი ასახავს გაყიდვების მომგებიანობას, იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.19 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.15.)

ზ) დებიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Accounts receivable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენადაა დალაგებული კომპანიის ურთიერთობა კონტრაგენტებთან. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 97.63 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0)

თ) კრედიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენჯერ იფარება კრედიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 4.77 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0)

ი) მარაგების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Inventory turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენად ეფექტურად იმართება მარაგები. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 15.01 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 6.0)

ბ. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი ან ფაქტორი მიმდინარე პერიოდისათვის არ გააჩნია.

იგი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა შედეგად სხვა ფირმას შეეძლება იგივე საქმიანობის დაწყება იგივე დისლოკაციის ადგილებზე, ან მოხდება სერიოზული ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადასახადების გაზრდას.

მენეჯმენტის აზრით, ასეთი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, დღეისათვის არსებობს შეზღუდვები კლიენტის მიერ საქონლის შეძენაზე როგორც რაოდენობის, ასევე ლიტრაჟის მიხედვით. ამასთან, გასათვალისწინებელია ევროკავშირში ტრანზიტის საკითხიც. კომპანიის საქმიანობის შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ამ ფაქტორების ცვლილების შემთხვევაში.

აღსანიშნავია პანდემიის პირობებში წარმოქმნილი რისკები. როგორც ზევით აღვნიშნეთ, COVID-19 გავრცელებასთან ერთად და სახელმწიფოს მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიების შედეგად 2020 წლის მარტში შეწყდა რეგულარული საერთაშორისო ფრენები, დაიკეტა აეროპორტები, ზემოთხსენებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია გაყიდვების 80% იანი ვარდანა (2019 წლის 8 თვის მონაცემებთან შედარებით) ხოლო მგზავრების რაოდენობა შემცირდა 78,6%-ით. 2020 წლის ივლისიდან აღდგა ჩარტერული რეისები და მოგვეცა უფლება გაგვეხსნა მაღაზიები, ბათუმის დიპლომატიურმა მაღაზიამ მუშაობა განაახლა 2020 წლის მაისში. ნოემბერში დაგეგმილია რეგულარული საერთაშორისო ფრენების აღდგენა. კომპანია სრულად ემორჩილება სახელმწიფოს მიერ დაწესებულ რეგულაციებს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

ამ ეტაპისათვის, კომპანიას არ გაუწყვეტია შრომითი ხელშეკრულებები არსებულ თანამშრომლებთან. ამასთან, კომპანია რეგულარულად აფასებს რისკიან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს - ისეთებს, რასაც ვადა გასდის და ჩამოწერს ან თუ შესაძლებელია, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობით, უბრუნებს მომწოდებელს.

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 1 ოქტომბერს:

საოპერაციო მენეჯერი საქართველოში

ემრე ბირდალი

ფინანსური მენეჯერი

ელენე ღვედამვილი

ბ) ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი ან ფაქტორი მიმდინარე პერიოდისათვის არ გააჩნია.

იგი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა შედეგად სხვა ფირმას შეეძლება იგივე საქმიანობის დაწყება იგივე დისლოკაციის ადგილებზე, ან მოხდება სერიოზული ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადასახადების გაზრდას.

მენეჯმენტის აზრით, ასეთი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, დღეისათვის არსებობს შეზღუდვები კლიენტის მიერ საქონლის შეძენაზე როგორც რაოდენობის, ასევე ლიტრაჟის მიხედვით. ამასთან, გასათვალისწინებელია ევროკავშირში ტრანზიტის საკითხიც. კომპანიის საქმიანობის შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ამ ფაქტორების ცვლილების შემთხვევაში.

აღსანიშნავია პანდემიის პირობებში წარმოქმნილი რისკები. როგორც ზევით აღვნიშნეთ, COVID-19 გავრცელებასთან ერთად და სახელმწიფოს მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიების შედეგად 2020 წლის მარტში შეწყდა რეგულარული საერთაშორისო ფრენები, დაიკეტა აეროპორტები, ზემოთხსენებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია გაყიდვების 80% იანი ვარდანა (2019 წლის 8 თვის მონაცემებთან შედარებით) ხოლო მგზავრების რაოდენობა შემცირდა 78,6%-ით. 2020 წლის ივლისიდან აღდგა ჩარტერული რეისები და მოგვეცა უფლება გაგვეხსნა მაღაზიები, ბათუმის დიპლომატიურმა მაღაზიამ მუშაობა განაახლა 2020 წლის მაისში. ნოემბერში დაგეგმილია რეგულარული საერთაშორისო ფრენების აღდგენა. კომპანია სრულად ემორჩილება სახელმწიფოს მიერ დაწესებულ რეგულაციებს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

ამ ეტაპისათვის, კომპანიას არ გაუწყვეტია შრომითი ხელშეკრულებები არსებულ თანამშრომლებთან. ამასთან, კომპანია რეგულარულად აფასებს რისკიან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს - ისეთებს, რასაც ვადა გასდის და ჩამოწერს ან თუ შესაძლებელია, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობით, უბრუნებს მომწოდებელს.

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 1 ოქტომბერს:

საოპერაციო მენეჯერი საქართველოში
ემრე ბირდალი



შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

საწყისი ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საწყისი ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების საწყისი ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება	4

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	5
2. COVID-19-ის გავლენა და ფუნქციონირებადი საწარმო	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები	17
5. საოპერაციო შემოსავალი	18
6. გაყიდული მარაგების თვითღირებულება	18
7. საიჯარო ხარჯი	19
8. თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	19
9. სხვა საოპერაციო ხარჯები	19
10. საწესდებო კაპიტალი	20
11. ძირითადი საშუალებები	20
12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	20
13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	21
15. საიჯარო ვალდებულებები	21
16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	22
17. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა	23
18. პირობითი ვალდებულებები	24
19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ეი თი იუს“ ხელმძღვანელობასა და მფლობელებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ეი თი იუს ჯორჯიას“ (შემდგომში - „კომპანია“) ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებისგან და ასევე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მომზადებული სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების საწყისი ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგებისგან, ამასთანავე, ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებისგან (შემდგომში „ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგება“). ფასს-ის მიხედვით მომზადებული ეს საწყისი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე“ („ფასს“) კომპანიის გადასვლასთან დაკავშირებით.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძვლის“ ნაწილში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული საწყისი ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მე-3 შენიშვნაში აღწერილი საფუძვლის შესაბამისად, რომელშიც მოცემულია, როგორ მომზადდა საწყისი ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის საფუძველზე, ფასს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე გამოყენებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები და პოლიტიკა, რომლებიც, ხელმძღვანელობის დაშვებით, ძალაში იქნება კომპანიის მიერ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების პირველი სრული პაკეტის მომზადებისას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ანარიცხების სისრულის თაობაზე, რადგან ანალიზისთვის ჩვენთვის არ მოუწოდებიათ საჭირო პირველადი დოკუმენტები. ამ საკითხის შესაძლო ეფექტი შეიძლება იყოს ხარჯების და მიმდინარე ვალდებულებების ზრდა და კაპიტალის შემცირება არსებითი ოდენობით. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა, საჭირო გახდებოდა თუ არა კორექტირებების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ 2019 წლის წმინდა მოგებაში.

ჩვენ კომპანიის აუდიტორად დავინიშნეთ 2019 წლის განმავლობაში, ამიტომ არ შევსწრებივართ წლის დასაწყისში სასაქონლო-მატერიალური მარაგების ფიზიკურ ინვენტარიზაციას. ჩვენ ვერ შევძელით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული მარაგების ოდენობის განსაზღვრა ალტერნატიული საშუალებებით.

იმის გამო, რომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების საწყისი ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის განსაზღვრაში, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა, საჭირო გახდებოდა თუ არა კორექტირებების შეტანა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებულ მოგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გაცხადებულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებში.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა საწყისი ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ („დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) („IESBA კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ მე-2 შენიშვნაზე, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ბოლო დროს გავრცელებული COVID-19-ის პანდემია უარყოფითად აისახება რეგიონის და მთელი მსოფლიოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, და აფერხებს კომპანიის საქმიანობას. როგორც მე-2 შენიშვნაშია ნათქვამი, ეს მოვლენები ან პირობები, მე-2 შენიშვნაში ასახულ სხვა გარემოებებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რომელიც დაკავშირებულია იმ მოვლენებსა და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ სერიოზულ ეჭვქვეშ დააყენონ კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ყურადღებას ვამახვილებთ მე-3 შენიშვნის პირველ პუნქტზე, რომელშიც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ის, თუ რატომ შეიძლება დასჭირდეს საწყისი ფინანსურ ანგარიშგებას კორექტირებები, ფასს-ის მიხედვით მომზადებული საბოლოო ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე. გარდა ამისა, გვინდა ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ ფასს-ის მიხედვით, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების ფასს-ის მიხედვით სამართლიანად ასახვა შესაძლებელია მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტით, რომელიც შეიცავს შედარებად ფინანსურ ინფორმაციასა და განმარტებით შენიშვნებს. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

კომპანიის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2019 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2019 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფასს-ის მიხედვით მომზადებულ საწყის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე მე-3 შენიშვნის პირველ პუნქტში მითითებული ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი საწყისი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან, და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს.

გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე საწყის ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ საწყის ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვასკვნი, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ საწყისი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

ჩვენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვ საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 1 ოქტომბერი

სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2019
საოპერაციო შემოსავალი	5	61,227
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	6	(20,930)
საერთო მოგება		40,297
საიჯარო ხარჯი	7	(20,717)
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	8	(3,273)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(1,054)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(1,522)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		56
საოპერაციო მოგება		13,787
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	13	252
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი		(9)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(334)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		13,696
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(1,432)
წლის მოგება		12,264
სხვა სრული შემოსავალი		—
წლის სრული შემოსავალი		12,264

ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019 წ.	1 იანვარი, 2019 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები		208	211
ძირითადი საშუალებები	11	1,548	2,470
აქტივის გამოყენების უფლება		92	87
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,848	2,768
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	4,079	4,679
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		628	461
საგადასახადო აქტივები		4,648	3,627
სხვა მიმდინარე აქტივები		226	60
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	6,388	1,806
სულ მიმდინარე აქტივები		15,969	10,633
სულ აქტივები		17,817	13,401
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	1,754	1,754
გაუნაწილებელი მოგება		11,500	7,353
სულ საკუთარი კაპიტალი		13,254	9,107
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	15	75	76
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		75	76
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	4,387	4,151
სახელშეკრულებო ვალდებულება		—	56
საიჯარო ვალდებულება	15	24	11
სხვა ვალდებულებები		77	—
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,488	4,218
სულ ვალდებულებები		4,563	4,294
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,817	13,401

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 1 ოქტომბერს:

საოპერაციო მენეჯერი, საქართველოში
ემრე ბირდალიფინანსური მენეჯერი
ელენე ჯვედაძე

ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019 წ.	1 იანვარი, 2019 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები		208	211
ძირითადი საშუალებები	11	1,548	2,470
აქტივის გამოყენების უფლება		92	87
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,848	2,768
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	4,079	4,679
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		628	461
საგადასახადო აქტივები		4,648	3,627
სხვა მიმდინარე აქტივები		226	60
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	6,388	1,806
სულ მიმდინარე აქტივები		15,969	10,633
სულ აქტივები		17,817	13,401
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	1,754	1,754
გაუნაწილებელი მოგება		11,500	7,353
სულ საკუთარი კაპიტალი		13,254	9,107
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	15	75	76
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		75	76
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	4,387	4,151
სახელშეკრულებო ვალდებულება		–	56
საიჯარო ვალდებულება	15	24	11
სხვა ვალდებულებები		77	–
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,488	4,218
სულ ვალდებულებები		4,563	4,294
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,817	13,401

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 1 ოქტომბერს:

საოპერაციო მენეჯერი საქართველოში
ემრე ბირდალიფინანსური მენეჯერი
ელენე ღვინაშვილი

კაპიტალში ცვლილებების საწყისი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	საწყისდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,754	7,353	9,107
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	12,264	12,264
გადახდილი დივიდენდები (მე-10 შენიშვნა)	–	(8,117)	(8,117)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>1,754</u>	<u>11,500</u>	<u>13,254</u>

ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება**2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის***ათას ლარში*

	<i>შენიშვნა</i>	<i>2019</i>
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		13,696
<i>არაფულადი კორექტივები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია		1,054
გამოუყენებელი შვებულების რეზერვი		77
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	13	(252)
წმინდა საკუროსო სხვაობები		334
საპროცენტო ხარჯი		9
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		14,918
<i>საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:</i>		
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		600
ცვლილება მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებში		(167)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში		(166)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში		(1,021)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		236
ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებაში		(56)
ცვლილება სხვა ვალდებულებებში		77
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		14,421
მიღებული პროცენტი	13	252
გადახდილი პროცენტი		(9)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		14,664
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები	11	(107)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა	16	(18)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(125)
საფინანსო საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდები	10	(8,117)
მოგების გადახდილი გადასახადი	10	(1,432)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(9,549)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		4,990
ნაღდი ფული 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		1,806
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(408)
ნაღდი ფული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		6,388

ათას ლარში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“ (შემდგომში - „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით - 206268386, არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2006 წლის 26 დეკემბერს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, საქართველო.

კომპანია არის თურქეთში რეგისტრირებული საწარმოს, სს „ATU Turizm Isletmeciligi“-ის, სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანია.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა თურქეთში რეგისტრირებული „ATU Turizm Isletmeciligi AS“ („ეი თი იუ ტურიზმი“). „ეი თი იუ ტურიზმი“ წარმოადგენს „ტავ ჰავალიმანლარი ჰოლდინგის“ (თურქეთი) და „Unifree Duty Free/ Gebr Heinemann“-ის (თურქეთი/გერმანია) ერთობლივ საქმიანობას.

კომპანიის კუთვნილი დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიები და დიპლომატების მაღაზიები ფუნქციონირებს საქართველოს სამი აეროპორტის - თბილისის, ქუთაისის და ბათუმის აეროპორტების გამგზავრების ტერმინალებში და არის აეროპორტების ტერიტორიაზე მოქმედი ერთადერთი დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიების ქსელი. ბათუმისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტების ფუნქციონირებას ახდენს შპს „ტავ ურბან საქართველო“ („ტავ საქართველო“), რომელიც არის „ტავ ჰავალიმანლარი ჰოლდინგის“ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო.

2. COVID-19-ის გავლენა და ფუნქციონირებადი საწარმო

COVID-19-ით გამოწვეულმა ჯანდაცვის კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საპაერო მიმოსვლაზე, რომელიც მარტიდან თითქმის მთლიანად შეჩერდა. საპაერო მიმოსვლის ასეთი მკვეთრი შემცირება კომპანიის შემოსავლებზე საგრძნობლად მოქმედებს.

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი დიდად არის დამოკიდებული მგზავრთა რაოდენობაზე და საერთაშორისო ფრენების შემზღუდველი ნებისმიერი გარე ფაქტორი პირდაპირ აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

COVID-19-ის პანდემიის გამო ეკონომიკის გაურკვეველი მომავლის და ბაზრის მერყეობის გათვალისწინებით, კომპანიამ შეაფასა თავისი უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. კომპანიამ გადახედა სამომავლო გაყიდვების გეგმებს, თავის საოპერაციო შემოსავალზე COVID-19-ის გავლენის გათვალისწინებით. ძირითად დაშვებებში, სხვებთან ერთად, შემდეგი დაშვებებიც შევიდა:

- ▶ 2021 წლის აპრილამდე ბიუჯეტში შეიტანა მხოლოდ ფულის გადინება და არა შემოდინება: თანამშრომლებთან დაკავშირებული და სახელფასო ხარჯები და ფულადი ნაკადის არავითარი შემოდინება.
- ▶ ხელმძღვანელობამ ასევე განიხილა ეფექტი კომპანიის ხანმოკლე სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე სასაქონლო-მატერიალურ მარაგებზე და შესაბამისი ხარჯები ბიუჯეტში ასახა. ხელმძღვანელობა მოელის, რომ 2020 წელს COVID-19-ის პანდემიის გამო 90 ლარის ღირებულების მარაგების დანაკარგს განიცდის, ხოლო მარაგების დარჩენილი ნაწილის მიღება შეძლო მომწოდებელთა კრედიტებით და/ან დააბრუნა საქონელი.
- ▶ 2020 წელს კომპანიამ თავისი მშობელი კომპანიისგან 200 ათასი ევროს სესხი მიიღო თავისი ფინანსური ვალდებულებების დასაფარად. ამასთან, 2020 წლის 14 სექტემბერს კომპანიამ მშობელი კომპანიისგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რომლის მიხედვითაც ATU Turizm Isletmeciligi AS-ს აქვს შესაძლებლობა და სურვილი, რომ კომპანიას სათანადო თანხები გამოუყოს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს ჩვეულებრივ რეჟიმში საქმიანობის გაგრძელება ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.
- ▶ კომპანიის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების 75% შედგება დაკავშირებული მხარეების მიმართ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. კომპანიას არაოფიციალური ხელშეკრულება აქვს გაფორმებული დაკავშირებულ მხარეებთან, რომ შესაბამისი თანხების გადახდა არ მოხდება, სანამ შპს „ეი თი იუ ჯორჯია“ საქმიანობის ჩვეულ რეჟიმს არ დაუბრუნდება.

ათას ლარში

2. COVID-19-ის გავლენა და ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ყველა ეს წინასწარი განცხადება ეყრდნობა არსებულ მოლოდინებსა და პროგნოზებს. ხელმძღვანელობის კონტროლს არ ექვემდებარება ბევრი რისკი და გაურკვეველობა, რის გამოც შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ანგარიშგების თარიღით გაკეთებული განცხადებებისგან. დღეისათვის ყველა ოპერაცია ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება. საწყისი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა**3.1 მომზადების საფუძველი**

წინამდებარე საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზანია კომპანიის დახმარება საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიღებაში.

საწყისი ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა ფასს-ის საფუძველზე, ფასს (IFRS) 1-ის - „*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*“ მოთხოვნების შესაბამისად და გამოიყენა ის სტანდარტები, ინტერპრეტაციები და პოლიტიკა, რომლებიც ძალაში იქნება კომპანიის მიერ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირველი სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ყველა ფასს, რომლებიც ამ დროისთვის გამოშვებულია და, რამდენადაც ცნობილია, 2020 სააღრიცხვო წლისთვის ძალაში დარჩება. ფასს 1-ის თანახმად, წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის მიერ პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის მოქმედ თითოეულ ფასს-ს.

ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საწყისი ფინანსური ანგარიშგება არ წამოადგენს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რადგან მასში არ არის შესული ზოგიერთი ძირითადი ანგარიშგება და შესაძარის ფინანსური ინფორმაცია, შესაბამისად, იგი ფასს-ის მიხედვით სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას. ეს შესაძლებელია მხოლოდ შესაძარის ფინანსური ინფორმაციის შემცველი სრული ფინანსური ანგარიშგებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, როგორც განმარტებულია ქვემოთ, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ თავში. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

ამ საწყისი ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა:

(ა) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**3.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ბ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე;
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებული ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში პირველ დონეს არის მიკუთვნებული: იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.

(გ) საოპერაციო შემოსავალი

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიების ქსელის მეშვეობით მომხმარებლებისთვის საქონლის მიწოდება.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს ნაკისრ მოვალეობას, ე. ი. დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი მყიდველს გადაეცემა, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისას კლიენტის მაღაზიაში. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავალთან დაკავშირებულ გარიგებებში პრინციპალის სახით გამოდის, ვინაიდან, როგორც წესი, საქონელს თვითონ აკონტროლებს მომხმარებლებისთვის გადაცემამდე.

*ათას ლარში***3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)****3.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

კომპანია საცალო გაყიდვებიდან შემოსავალს აღიარებს დროის იმ მომენტში, როდესაც ყიდის და მაღაზიებში პირდაპირ გადასცემს მომხმარებლებს მესამე მხარეების მიერ წარმოებულ პროდუქტებს. ამ გარიგებებზე ანგარიშსწორება მოხდა ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით მიწოდებისთანავე. გაყიდვები ფასდება გაყიდულ საქონელში მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, ფასდაკლების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

სახელშეკრულებო ნაშთები***სახელშეკრულებო აქტივები***

სახელშეკრულებო აქტივი არის საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ მათი ღირებულების მიღების უფლება. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება მიღებული პირობითი ღირებულებისთვის. კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე კომპანია გადასცემს მას შესაბამის საქონელს ან მომსახურებას. სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება შემოსავლად ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (ანუ კონტროლს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე მომხმარებელს გადასცემს).

(დ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია პირვანდელი ღირებულება, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ობიექტის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მისი შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლისა და შესყიდვის არადაბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, შეღავათებისა და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; (ბ) ყველა იმ დანახარჯს, რომლის პირდაპირ მიკუთვნება შეიძლება ობიექტის ისეთ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რომ მან შეძლოს კომპანიის ხელმძღვანელობისთვის სასურველი ფორმით ფუნქციონირება; (გ) ობიექტის დემონტაჟისა და მოხსნის, ასევე იმ ტერიტორიის, რომელზეც ობიექტი მდებარეობდა, აღდგენის პროგნოზირებულ ხარჯებს; (დ) ვალდებულებას, რომელსაც კომპანია კისრულობს ან ობიექტის შემენისას, ან ობიექტის გარკვეული ვადით გამოყენების შემდეგ რამე მიზნით, გარდა სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოების ამავე პერიოდში; და (ე) განსაკუთრებული აქტივების შემთხვევაში, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებულ ნასესხებ სახსრებს.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ამ ობიექტიდან და თუ ობიექტის ღირებულების სარწმუნოდ განსაზღვრა შესაძლებელია. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ყველა დანარჩენი სარემონტო და ტექნიკურ-სამეურნეო ხარჯი აისახება იმ ფინანსური პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ის გაიწია.

შემდგომში კაპიტალიზებული დანახარჯები შეიცავს გაუმჯობესების და შეცვლის მასშტაბურ ხარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადას და ზრდის მათ შემოსავლიანობას. შეკეთების და ტექნიკურ-სამეურნეო ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმს, აისახება ხარჯის სახით მოგება-ზარალში ან სრულ შემოსავალში მათი გაწევისთანავე.

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალებების ობიექტის თვითღირებულება, რომელსაც აკლდება მისი ნარჩენი ღირებულება.

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**3.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

ძირითადი საშუალებების ცვეთა აღირიცხება იმგვარად, რომ ცვეთადი თანხა ჩამოიწეროს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. კომპანიის ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადებია:

	<u>წლები</u>
ავეჯი, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	3-5
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანია განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას.

2019 წლის 1 იანვრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუფასურების ნიშნები არ არსებობდა.

(ე) გადასახადები**დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)**

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

ბრუნვის გადასახადის ის ოდენობა, რომელიც დასაბრუნებელია საგადასახადო ორგანოს მიერ ან მისთვის არის გადასახდელი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება საგადასახადო დავალიანებაში, მოგების გადასახადის გარდა, ან წინასწარ გადახდილ გადასახადებში, საჭიროებისამებრ.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის საწყისი ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა.

გარიგებები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავიდან კომპანიის მიერ აღირიცხება მის შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების დაფარვით ან კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ ფულადი მუხლებისა, რომლებიც საზღვარგარეთ საქმიანობაში კომპანიის წმინდა ინვესტიციების ჰეჯირებისთვის არის განკუთვნილი. ისინი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში წმინდა ინვესტიციების ჩამოწერამდე, როდესაც ხდება მთლიანი თანხის რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში და სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში ასევე აისახება ამ ფულადი მუხლების საკურსო სხვაობებზე მიკუთვნებული დარიცხული გადასახადი და კრედიტები.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობისა და ზარალის აღიარების შესაბამისად (ანუ თუ მუხლების სამართლიანი ღირებულების შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია სრულ შემოსავალში ან მოგებაში ან ზარალში, შესაბამისად, მათზე საკურსო სხვაობებიც სრულ შემოსავალსა თუ მოგება-ზარალში აისახება).

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივების, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანიამ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

(ზ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს.

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**3.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მარცვლებით.

კომპანია გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ეს ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები, ჩვეულებრივ, ოთხწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შემზღუბება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემოზღუბების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი შემოზღუბების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

(თ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაში ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მუხლი მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკსა და სალაროში და მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ანაზღაურებს სამ თვემდე თავდაპირველი ვადით, რომელთა კონვერტაცია ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი გარკვეულ თანხად და რომელთა ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი არსებობს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის საწყისი ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, დაუფარავი საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით, ვინაიდან ისინი მიიჩნევა კომპანიის ნაღდი ფულის მართვის განუყოფელ ნაწილად.

(ი) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მფლობელების კაპიტალის შემცირების სახით მათი გამოცხადების პერიოდში. დივიდენდები, რომლებიც ცხადდება საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, აღირიცხება, როგორც ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება ანგარიშგებაში.

(ლ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

კომპანია სხვადასხვა ტიპის ბონუსებს იღებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების მომწოდებლებისგან, ძირითადად, მოცულობის გამო ფასდაკლებების, სავაჭრო ადგილის გადასახადების და მომწოდებლებისთვის შესყიდვებთან პირდაპირ დაკავშირებული შემხვედრი მომსახურებების გაწევის სახით. ეს ბონუსები ამცირებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულებას და აღირიცხება, როგორც გაყიდული მარაგების თვითღირებულების შემცირება, როდესაც შესაბამის მარაგებზე კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა.

(მ) პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

(ნ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის აღიარება ხდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

(ო) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ. 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანია თანამშრომელთა დარიცხული ხელფასებიდან და სხვა გასამრჯელოებიდან 2% სახელმწიფო საპენსიო სააგენტოში იხდის. კომპანია არ არის პასუხისმგებელი შრომითი საქმიანობის შემდგომ გასამრჯელოებზე.

(პ) ფინანსური შემოსავალი

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მისი დარიცხვისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებამდე.

(ჟ) გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან ყველა გარიგება ფასდება თვითღირებულებით, თუ ფინანსური ანგარიშგების რომელიმე სტანდარტი, მაგალითად ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“, სხვა რამეს არ ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(რ) მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რასაც აკლდება სავარაუდო უიმედო თანხებისთვის შექმნილი რეზერვი. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

(ს) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი პირველადი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, კომპანია ფინანსურ აქტივს თავდაპირველად აღიარებს მისი სამართლიანი ღირებულებით და, თუ ფინანსური აქტივი არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას უმატებს გარიგების დანახარჯებს.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალაო ინსტრუმენტები);
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მიერ ჩატარებული საკრედიტო ანალიზის გათვალისწინებამდე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონიერული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ვალდებულებები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და გადასახდელი ანგარიშები ან კრედიტორული დავალიანება.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

(ტ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებული ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში პირველ დონეს არის მიკუთვნებული: იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.

(უ) საიჯარო ხელშეკრულებები

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. აღიარებულ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივ მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე.

საიჯარო ვალდებულებები

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელ ღირებულებას. საიჯარო გადახდები მოიცავს არსებითად ფიქსირებულ გადახდებს. საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახადები ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

ათას ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანიას გარკვეული იჯარები აქვს ავტოტრანსპორტსა და აღჭურვილობაზე. ამ იჯარების მაქსიმალური ვადა 12 თვეა, ხოლო მათი ფაქტობრივი ღირებულება შეფასებულია, როგორც დაბალი ღირებულება. კომპანია ამ იჯარებისთვის იყენებს „მოკლევადიანი იჯარის“ და „დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის“ აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს.

(ფ) თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

(ქ) საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, და ეს აქტივი აკმაყოფილებს საკრედიტო რისკით გაუფასურებულის განმარტებას, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.3 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ქვემოთ მოცემულია ის გამოშვებული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა კომპანიისთვის, ან რომელთა გავლენასაც კომპანია ამ ეტაპზე აფასებს:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში „საწარმოს განმარტება“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „ტერმინის „არსებითის“ განმარტება“.

ეს ახალი სტანდარტები, სავარაუდოდ, არ მოახდენენ არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ათას ლარში

4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით (მე-10 შენიშვნა). დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2019 წელს კომპანიამ გადაიხდა დივიდენდები და ჰქონდა ისეთი ოპერაციები, რომლებიც ჩაითვლება მოგების განაწილებად ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად (მე-10 შენიშვნა).

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შეიძლება საფუძველი დაუდოს სხვადასხვა ინტერპრეტაციას და ცვლილებას. ამასთან, ვინაიდან ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის აღქმა შეიძლება საგადასახადო ორგანოების ხედვისგან განსხვავდებოდეს, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოებისგან შემოწმებას სამი წლის განმავლობაში ექვემდებარება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას ყველა გადასახადი გადახდილი აქვს, შესაბამისად, რეზერვი ამ საწყისი ფინანსურ ანგარიშგებაში არ შექმნილა.

ათას ლარში

5. საოპერაციო შემოსავალი

შემოსავალი ფილიალების მიხედვით:

	2019
თბილისი	47,700
ბათუმი	8,116
ქუთაისი	5,411
სულ საოპერაციო შემოსავალი	61,227

საოპერაციო შემოსავალი დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიებში გაყიდული პროდუქტების ტიპების მიხედვით:

	2019
სასმელი და საკვები პროდუქტები	40,241
სუნამო და კოსმეტიკა	17,393
აქსესუარები	3,547
საფეიქრო ნაწარმი	46
სულ საოპერაციო შემოსავალი	61,227

კომპანიის გაყიდვების უდიდესი ნაწილი ნაღდი ფულით ხორციელდება, შესაბამისად ისინი არ წარმოშობს სახელმეკრულებო აქტივებს ან ვალდებულებებს.

6. გაყიდული მარაგების თვითღირებულება

გაყიდული მარაგების თვითღირებულება ფილიალების მიხედვით:

	2019
თბილისი	16,030
ბათუმი	3,016
ქუთაისი	1,884
სულ შემოსავალი	20,930

გაყიდული მარაგები თვითღირებულება დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიებში გაყიდული პროდუქტების ტიპების მიხედვით:

	2019
სასმელი და საკვები პროდუქტები	12,984
სუნამო და კოსმეტიკა	6,630
აქსესუარები	1,302
საფეიქრო ნაწარმი	14
გაყიდული მარაგების თვითღირებულება, სულ	20,930

ათას ლარში

7. საიჯარო ხარჯი

	2019
ცვლად საიჯარო გადასახადებთან დაკავშირებული საიჯარო ხარჯები	20,714
მოკლევადიან ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საიჯარო ხარჯები	3
სულ საიჯარო ხარჯები	20,717
	2019
თბილისი	16,707
ბათუმი	2,820
ქუთაისი	1,187
სულ ცვლადი საიჯარო ხარჯი	20,714

8. თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი

	2019
ხელფასები	2,063
პრემიები	372
გამოუყენებელი შვებულების რეზერვი	77
სახელმწიფო პენსიის შენატანი	62
სხვა	699
სულ თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	3,273

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019
ბანკის საკომისიო	453
ადმინისტრაციული ხარჯები	157
შეფუთვის ხარჯები	155
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	126
საგადასახადო ხარჯი	99
კომუნალური ხარჯი	117
სადაზღვევო ხარჯი	71
ტექნიკური მომსახურების ხარჯები	48
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	35
სხვა ხარჯები	261
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	1,522

პროფესიული მომსახურების ღირებულებიდან 16 ლარი წარმოადგენს აუდიტის მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ათას ლარში

10. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,754 ლარით.

2019 წელს კომპანიამ გაანაწილა 8,117 ლარის დივიდენდები და აღიარა 1,432 ლარის ოდენობით დარიცხული შესაბამისი მოგების გადასახადი მოგებაში ან ზარალში.

მშობელი კომპანიისთვის გადახდილი წმინდა დივიდენდები	8,117
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15/85
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	1,432

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2019 წლის განმავლობაში ასეთია:

	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და აღჭურვილობა	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 1 იანვარი	302	4,042	3,959	8,303
შემოსვლები	44	63	–	107
31 დეკემბერი, 2019 წ.	346	4,105	3,959	8,410
დაგროვილი ცვეთა				
2019 წლის 1 იანვარი	97	2,923	2,813	5,833
ცვეთა წლის განმავლობაში	60	502	467	1,029
31 დეკემბერი, 2019 წ.	157	3,425	3,280	6,862
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 1 იანვარი	205	1,119	1,146	2,470
31 დეკემბერი, 2019 წ.	189	680	679	1,548

12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფილიალების მიხედვით	31 დეკემბერი, 2019 წ.	1 იანვარი, 2019 წ.
თბილისი	2,963	3,634
ბათუმი	791	617
ქუთაისი	325	428
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	4,079	4,679

სასაქონლო-მატერიალური მარაგები პროდუქტების კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2019 წ.	1 იანვარი 2019
სუნამო და კოსმეტიკა	1,561	1,999
ალკოჰოლი	976	1,079
საკონდიტრო ნაწარმი	614	932
თამბაქო	522	405
აქსესუარები	222	122
საფეიქრო ნაწარმი	56	1
სხვა	128	140
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	4,079	4,679

ათას ლარში

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	<i>31 დეკემბერი, 2019 წ.</i>	<i>1 იანვარი, 2019 წ.</i>
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში - მოთხოვნამდე ანაზრები	6,295	1,773
ნაღდი ფული სალაროში	93	33
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	6,388	1,806

2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ადგილობრივ კომერციულ ბანკში, რომელსაც Standard & Poor's-ისგან მინიჭებული აქვს „BB-/B“ რეიტინგი, Moody's-სგან „B1/NP“ (FC) & „Ba3/NP“ (LC), ხოლო Fitch Ratings-ისგან „BB-/B“.

2019 წლის განმავლობაში ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებზე საპროცენტო შემოსავალმა 252 ლარი შეადგინა.

14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	<i>31 დეკემბერი, 2019 წ.</i>	<i>1 იანვარი, 2019 წ.</i>
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეების მიმართ	3,269	4,087
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მესამე მხარეების მიმართ	1,108	55
სხვა კრედიტორული დავალიანება	10	9
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,387	4,151

კომპანიის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, ძირითადად, შედგება კონტრაქტორების მიმართ გაყიდულ საქონელთან და იჯარასთან დაკავშირებული დავალიანებისგან.

15. საიჯარო ვალდებულებები

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	87
შემოსვლები	27
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	9
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა	(18)
იჯარის პროცენტის გადახდა	(9)
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი	3
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	99

დაბალი ღირებულების მქონე და მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში 3 ლარს გაუტოლდა.

ათას ლარში

16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

26.1 საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	სასაქონლო- მატერიალუ- რი მარაგების შეძენა	ძირითადი საშუალებების შეძენა	მომსახურე- ბის ხარჯები	კომუნა- ლური ხარჯები	საიჯარო ხარჯი	იჯარის ხარჯი შემოსავალი
მშობელი კომპანია - 2019 წ.						
ATÜ Turizm İşletmeciliği A.Ş.	1,102	59	154	—	—	—
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები - 2019 წ.						
შპს „ტავ ურბან საქართველო“	—	—	—	104	16,707	—
შპს „ტავ ბათუმი ოპერეიშენს“	—	—	—	—	2,810	—
შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია“	245	—	—	—	—	—
Gebr. Heinemann SE & Co. KG	12,687	—	—	—	—	—
Unifree Duty Free İşletmeciliği A.Ş.	—	—	—	—	—	66
შპს „უნიფრი ჯორჯია“	3,331	—	—	—	—	576

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან საოპერაციო გარიგებების შედეგად აქვს შემდეგი ნაშთები:

	31 დეკემბერი, 2019 წ.	1 იანვარი, 2019 წ.
მფლობელი:		
ATÜ Turizm İşletmeciliği A.Ş.	(16)	(12)
სხვა:		
შპს „ტავ ურბან საქართველო“	(1,326)	(1,271)
შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია“	(26)	(22)
შპს „ტავ ბათუმი ოპერეიშენს“	(174)	(105)
Gebr. Heinemann SE & Co. KG	(1,727)	(2,677)
Unifree Duty Free İşletmeciliği A.Ş.	122	154
შპს „უნიფრი ჯორჯია“	411	173
	(2,736)	(3,760)

16.2 საინვესტიციო და ფინანსური გარიგებები

2019 წელს დაკავშირებულ მხარეებთან საინვესტიციო და ფინანსური გარიგებები წარმოდგენილია მხოლოდ მფლობელისთვის დივიდენდის გადახდის სახით (მე-10 შენიშვნა).

16.3 ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

2019 წელს ხელმძღვანელი პირების მთლიანი ანაზღაურება, გადასახადების გამოკლებით, ასე გამოიყურება:

	2019
ხელფასები და სარგებელი	355
პრემიები	50
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	405

ათას ლარში

17. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, რომლებსაც პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან იღებს.

კომპანიას აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. კომპანიას სხვა მნიშვნელოვანი საბაზრო რისკები არ აქვს, რადგანაც არ ფლობს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებზეც ექნებოდა ცვალებადი სამომავლო ფულადი ნაკადები საბაზრო ფასების მერყეობის გამო. ამასთანავე, კომპანიას არ აქვს ცვალებადი განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტები და, შესაბამისად, არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო საქმიანობა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან და ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე, ბანკებში განთავსებული ანგარიშების ჩათვლით.

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებას 6,295 ლარის ოდენობით (2019 წლის 1 იანვარი: 1,773 ლარი).

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. კომპანიის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს კომპანიის ხელმძღვანელობა.

ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა.

კომპანიის ფინანსური ვალდებულების ვადიანობის ანალიზში შედის სახელშეკრულებო არადისკონტირებული სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და საიჯარო ვალდებულება 4,486 ლარის ოდენობით (2019 წლის 1 იანვარი: 4,238 ლარი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსების მერყეობის გამო. კომპანიის ძირითადი სავალუტო რისკები გამოწვეულია იმით, რომ კომპანია ყიდულობს საქონელს იმპორტისთვის და შესყიდვები ხდება უცხოურ ვალუტაში.

ათას ლარში

17. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მიმართ მგრძნობელობა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კომპანიის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია, საანგარიშგებო თარიღისთვის ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო:

	სავალუტო კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
31 დეკემბერი, 2019 წ.		
ევრო	11.00%	(87)
ევრო	-6.00%	47
აშშ დოლარი	10.00%	76
აშშ დოლარი	-5.00%	(38)

კომპანიის სავალუტო რისკები ასეთია:

	ევროში გამოხატული		აშშ დოლარში გამოხატული	
	31 დეკემბერი, 2019 წ.	1 იანვარი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.	1 იანვარი, 2019 წ.
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	936	317	763	701
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(1,726)	(2,717)	–	–
ნეტო-პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	(790)	(2,400)	763	701

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ ეხება კაპიტალის გარე შეზღუდვები და მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

სამართლიანი ღირებულებები

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

18. პირობითი ვალდებულებები

საქართველოს მინისტრის #290 ბრძანების მიხედვით, კომპანიამ საქართველოს შემოსავლების სამსახურს წარუდგინა 250 ათასი ევროს და 200 ათასი ევროს საბანკო გარანტიები 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისი თანმიმდევრობით (დაახლოებით 842 ლარი და 614 ლარი) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვისთვის, ხოლო 200 ლარი - საბაჟო საწყობში საქონლის დროებითი შენახვისთვის. თუ შემოსავლების სამსახური გარანტიის პირობის შესრულების მოთხოვნით ბანკს მიმართავს, ბანკს უფლება აქვს, დაბლოკოს კომპანიის ანგარიშებზე შესაბამისი თანხა.

გარდა ამისა, კომპანიამ, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“ ქუთაისის მაღაზიის იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი საიჯარო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, 132 ლარის ოდენობის (40 ათასი ევრო) ვალდებულების შესრულების გარანტია გასცა. ვალდებულების შესრულების გარანტია, რომელიც კომპანიამ გადაუხადა საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას, კომპანიას უნდა დაუბრუნდეს ხელშეკრულების შეწყვეტიდან, მაქსიმუმ, შვიდ დღეში.

19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

გამოცხადებული დივიდენდები

2020 წელს კომპანიამ 9,381 ლარის დივიდენდები გადაიხადა.

მიღებული ახალი დაფინანსება

2020 წლის აგვისტოში კომპანიამ მშობელი კომპანიისგან მიიღო 200 ათასი ევროს სესხი, რომლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 4.1%-ია. სესხის მიზნობრიობა არის კომპანიის მხარდაჭერა თავისი თანამშრომლებისა და სხვა მომწოდებლების წინაშე მიმდინარე ვალდებულებების შესრულებაში.

COVID-19-ის გავლენა

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენად შეაფერხებს ეს პანდემია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და რა გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. COVID-19-ის ინფექციის პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 21 მარტიდან საქართველოში და საქართველოდან საერთაშორისო ფრენების შეჩერების შესახებ. ფრენების გაუქმებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის შედეგებზე, ვინაიდან მას 2020 წლის აპრილიდან ივნისამდე შემოსავალი არ მიუღია. ქვეყნის ორი ქალაქი ევროპაში კორონავირუსისგან ყველაზე უსაფრთხო ადგილად გამოცხადდა, რაც დადებითად აისახება უცხოელი ტურისტების რაოდენობაზე. ხელმძღვანელობის მოლოდინით, საერთაშორისო ფრენები 2020 წლის ბოლო კვარტალში განახლდება.

კომპანია აკვირდება, რამდენად აისახება კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება თავის საქმიანობაზე, მომხმარებლებზე და თანამშრომლებზე და ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება.

კომპანიის ხელმძღვანელობა კორონავირუსის (COVID-19) პანდემიას განიხილავს, როგორც ბალანსის თარიღის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენას, თუმცა მაინც აფასებს მის გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე. გთხოვთ გაეცნოთ ამ ფინანსური ანგარიშგების მეორე განმარტებით შენიშვნაში წარმოდგენილ ანალიზს.